ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტი

სხდომის მოწვევის თარიღი: 26 ივლისი, 2023 წელი.
სხდომის ჩატარების დრო: 14:00 საათი
სხდომის ჩატარების ადგილი: ქალაქი ქუთაისი, რუსთაველის გამზირი № 3.

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალბატონი მაგდა კოსტავა
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული
თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ბატონი ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონი ბაქარ მახარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: „ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი იოსებ ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების,
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის
მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

საინფორმაციო ბარათი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21-ე რიგითი სხდომის დღის წესრიგის პროექტით განსაზღვრული საკითხების შესახებ

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 8 დადგენილებაში ცვლილება ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდას და საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესს.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2022 წლის ივლისიდან 2023 წლის ივლისამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა ამ კომისიის თავმჯდომარის მიერ.

3. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის №359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აღნიშნული ცვლილება გულისხმობს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხაში დამატებას, რითაც მუნიციპალიტეტი მიიღებს დამატებით შემოსავალს.

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის №177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აღნიშნული ცვლილებით განსაზღვრულია საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმისათვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დამატება, რითაც მუნიციპალიტეტი მიიღებს დამატებით შემოსავალს.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (მისამართი: „ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია) გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

განკარგულების პროექტით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 7 ივნისის № 1240 განკარგულების საფუძველზე, გათვალისწინებულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (ქალაქ ქუთაისში ილია ჭავჭავაძის გამზირი №37, სადგური ქუთაისი II-ის მიმდებარე ტერიტორია - ყოფილი პოლიციის შენობა), გასხვისების თაობაზე ქალაქის მერისათვის თანხმობის მიცემა. აღნიშნული ქონების (რომელსაც დაკარგული აქვს ფუნქციური დანიშნულება)გასხვისებით შესაძლებელი გახდება ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მობილიზება, რაც ხელს შეუწყობს ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს ეროვნული არქივისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

განკარგულების პროექტით განსაზღვრულია, სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის“ ფუნქციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ ქუთაისში, ი. აბაშიძის გამზ. № 20-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების ნაწილის (1500 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა. ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვრება სსიპ „საქართველოს ეროვნული არქივის“ არსებობის ვადით.

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

განკარგულების პროექტით გათვალისწინებულია, ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ ლესელიძის ქუჩა №2-ის აღმოსავლეთით მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობაში გადაცემა ჯომარდობის სპორტული აქტივობის მხარდაჭერის მიზნით. ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვრება ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების“ არსებობის ვადით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია